სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ბრძანება № 8

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გენდერული თანასწორობის გეგმის დამტკიცების შესახებ

7 თებერვალი, 2024 წელი **ქ. თბილისი**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-10 მუხლი მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნტქის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა (დანართი №1);
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს - ინფორმაციის ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსება.
3. დაევალოს საფინანსო-ადმინისტრაციული განყოფილების საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის გადაცემა.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

დირექტორი *ზაალ აბაშიძე*

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3
ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge
info@manuscript.ac.ge